საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 003272/18

08/06/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს (თან ერთვის).

გთხოვთ გააცნოთ აღნიშნული ანგარიში საკრებულოს წევრებს, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე და შედეგების შესახებ აცნობოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

დანართი: დამტკიცებული აუდიტის ანგარიში – 37 ფურცელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახური /
თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ"

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

1 ივლისი 2023 წელი

N 23/36

ეგზ.: N 1

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	დანართები	35
	საკონტაქტო ინფორმაცია	37

ტერმინები და შემოკლებები

- **ა(ა)იპ** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- **მერია** – აუდიტის ობიექტების მერიები.
- **მუნიციპალიტეტი** – აუდიტის ობიექტების მუნიციპალიტეტები.
- **საკრებულო** – აუდიტის ობიექტების საკრებულოები.
- **შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 23 მუნიციპალიტეტის (იხ. დანართი №1) 2020-2021 წლებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონშეუსაბამოდ გაცემული დამატებითი ანაზღაურება

4 მუნიციპალიტეტში[1] 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაცემულია დამატებითი ანაზღაურება, ჯამში – 64.6 ათასი ლარის ოდენობით.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას, რის გამოც საწვავის ხარჯი გაზრდილია. ავტომანქანების რაოდენობის შერჩევის პრინციპი არ არის განპირობებული მუნიციპალიტეტის კონკრეტული საჭიროებით და მიმართულია მოხელეების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისკენ, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ამ ფორმით არ ითვალისწინებს. საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტებში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილი ნორმის დარღვევა

მუნიციპალიტეტებში დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად დაქირავებული იყო დადგენილ ნორმაზე მეტი პირი; ზოგ შემთხვევაში დაქირავებულთა ფუნქცია-მოვალეობები საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტური ან/და დაუსაბუთებელია; არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტები შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედებდნენ არა თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ კონკრეტული პირების დასაქმების მიზნით.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯი

მუნიციპალიტეტებმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 3,117.8 ათასი ლარი გასცეს შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

მივლინების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. არსებობს რისკი, რომ ზოგ შემთხვევაში მივლინების საჭიროება განსაზღვრული არ არის, თვითმმართველი ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სამივლინებო თანხებს იყენებდნენ არარაციონალურად.

[1] მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები.

დოკუმენტურად დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯები

ზოგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებმა სტუმრების კვების ხარჯები გასწიეს კონკრეტული ღონისძიებისა და თვითმმართველი ერთეულის ინტერესების საჭიროების გარეშე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული ხარჯები არაეკონომიურია, რადგან მოსალოდნელ შედეგებზე გავლენა ვერ დგინდება.

იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტები პრაქტიკულად არ ატარებდნენ მემორანდუმით გათვალისწინებულ მონიტორინგს დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. შესაბამისად, არ არის შესწავლილი გაწეული ხარჯის ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტებმა ვერ დაასაბუთეს, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი იყვნენ პირველ რიგში გამოეყენებინათ საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვები

ფაქტობრივი დანახარჯების გარეშე ანაზღაურებული თანხები

მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და შესაძლებელია იწვევდეს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. გამარტივებული შესყიდვის დროს მუნიციპალიტეტები ვერ იცავენ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასად მიწოდების პირობას.

შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობა

შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობის ხარვეზები

შიდა აუდიტის სამსახურებს სათანადოდ არ შეუსწავლიათ ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენიათ სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურებმა რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო მერიების საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა. იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც აღნიშნული წესი მიღებული აქვთ, უზრუნველყონ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის წესთან შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაცია №2: მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №3: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას და საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №4: მერიამ საკრებულოსთან შეთანხებით შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. წესით მიზანშეწონილია განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებათა გეგმას, მივლინების შედეგების მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენების შესახებ და ასევე მივლინებული პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენას მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის გაზრდას.

რეკომენდაცია №5: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უმჯობესია განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს. ამასთანავე, არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას, შესაბამისმა სამსახურებმა პირველ რიგში გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები.

რეკომენდაცია №6: მერიამ განახორციელოს დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და დასაფინანსებელი პროგრამების შესრულების ყოველწლიური სამოქმედო

გეგმების წინასწარი განხილვა და შეფასება – ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები რამდენად სრულად, ნათლად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და მათი საშუალებით რამდენად შესაძლებელია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ამასთანავე, შეიმუშაოს მიდგომა, რითაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული დასახული მიზნების მიღწევის გზები და იდენტიფიცირებული იქნება მისაღწევი შედეგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია №7: მერიამ მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №8: მერიამ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციით მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს მიმწოდებლების თანაბარ პირობებში ჩაყენებასა და საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ ხარჯვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

რეკომენდაცია №9: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – მუნიციპალიტეტების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიში არ ქმნის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
აუდიტის მასშტაბი	23 მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2020-2021 წლებში (დანართი №1).
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:[2] • საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; • საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

[2] 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება №55 ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

მუნიციპალიტეტები არიან დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავენ საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების (პროგრამის კოდი: 01 00) ფარგლებში, 23 მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულმა გადასახდელებმა 2020 წელს – 64,285.8 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს 68,565.5 ათასი ლარი შეადგინა. გადასახდელების განაწილება წარმოდგენილია ცხრილში №1:

ცხრილი №1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წელი	2021 წელი	სულ:
გადასახდელები	**64,285.8**	**68,565.5**	**132,851.3**
ხარჯები	**60,271.3**	**64,616.4**	**124,887.7**
შრომის ანაზღაურება	39,670.8	41,502.5	81,173.3
საქონელი და მომსახურება	15,584.5	18,964.9	34,549.4
პროცენტი	1,256.8	985.0	2,241.9
სუბსიდიები	142.4	254.9	397.3
გრანტები	287.5	278.3	565.8
სოციალური უზრუნველყოფა	668.4	526.7	1,195.0
სხვა ხარჯები	2,660.9	2,104.1	4,765.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,330.5**	**2,067.0**	**3,397.5**
ვალდებულებების კლება	**2,684.0**	**1,882.1**	**4,566.1**

2020-2021 წლებში 23-მა მუნიციპალიტეტმა გამარტივებული წესით შეისყიდა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 66,747.5 ათასი ლარი, მათ შორის, 18-მა მუნიციპალიტეტმა 40.0 ათას ლარს ზემოთ გააფორმა 180 ხელშეკრულება, ღირებულებით - 34,881.2 ათასი ლარი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი: 01 00)

2.1.1 პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონშეუსაბამოდ გაცემული დამატებითი ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,[3] პოლიტიკური თანამდებობის პირს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო არ ეძლევა. მუნიციპალიტეტში პოლიტიკური თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მერი, მერის მოადგილეები.[4]

ფაქტობრივი გარემოება: განხორციელებული აუდიტის ფარგლებში შემოწმებულ 23 მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 81,366.3 ათასი ლარი, მათ შორის, დანამატი - 750.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი ჯილდო - 1,144.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის, ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტებს თანამდებობრივი სარგოს გარდა დამატებითი ანაზღაურება არ გაუციათ.

2020 წელს დანამატი გაცემულია 17 მუნიციპალიტეტში,[5] მათ შორის, 5 მუნიციპალიტეტში[6] ასევე გაცემულია ფულადი ჯილდო. 2021 წელს დანამატი გაიცა 18 მუნიციპალიტეტში,[7] 12 მათგანში[8] გაცემულია ფულადი ჯილდოც. ინფორმაცია გაცემული ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში №2:

ცხრილი №2. ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში ჯამურად გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ (ათასი ლარი)

შრომის ანაზღაურება	2020 წელი	2021 წელი	ჯამი:
თანამდებობრივი სარგო	39,449.0	40,022.4	79,471.4
დანამატი	201.2	549.7	750.9
ფულადი ჯილდო	88.0	1,056.0	1,144.0
ჯამი:	**39,738.2**	**41,628.1**	**81,366.3**

შემოწმებული 23 მუნიციპალიტეტიდან – 4-ში, 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე კანონმდებლობის შეუსაბამოდ გაცემულია დამატებითი ანაზღაურება სახელფასო დანამატის და ჯილდოს სახით, ჯამში – 64.6 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

- მესტიის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის 7 პირზე[9] გაცემულია 19.2 ათასი ლარი – დანამატის, ხოლო 17.2 ათასი ლარი – ფულადი ჯილდოს სახით;
- მცხეთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს პოლიტიკური თანამდებობის 22 პირზე[10] გაცემულია 21.4 ათასი ლარის ფულადი ჯილდო;

[3] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მე-20 და 21-ე მუხლები.
[4] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „ი“ ქვეპუნქტი.
[5] აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.
[6] კასპის, ლანჩხუთის, მესტიის, ჩხოროწყუსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.
[7] აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.
[8] აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.
[9] საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, მერები, მერის მოადგილეები.
[10] საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეები, მერის მოადგილეები.

- კასპის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში პოლიტიკური თანამდებობის 2 პირზე[11] გაცემულია დანამატი 5.2 ათასი ლარის ოდენობით;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2021 წელს პოლიტიკური თანამდებობის ერთ პირზე[12] გაცემულია დანამატი 1.6 ათასი ლარი ოდენობით.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, მესტიის, მცხეთის, კასპისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე დამატებითი ანაზღაურება გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ. საჭიროა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

2.1.2 სატრანსპორტო საშუალებების შეუსაბამო რაოდენობები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტებისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.[13] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.[14]

ფაქტობრივი გარემოება: სამსახურებრივი საჭიროებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი 2020-2021 წლებში იყენებდა 2-დან 15-მდე განპიროვნებულ, ერთიდან 10-მდე სამორიგეო და მოხელეების საკუთრებაში არსებულ 92-მდე ავტომანქანას.[15] მუნიციპალიტეტების მიდგომა ავტომანქანების ოპტიმალური რაოდენობის მხრივ არაერთგვაროვანია და შეიცავს ხარვეზებს, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. შემოწმებული 23 მუნიციპალიტეტიდან 10-მა[16] ვერ წარმოადგინა „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 4 მუნიციპალიტეტში[17] მნიშვნელოვნად აღემატებოდა მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ნორმას,[18] მათ შორის, 2-მა მუნიციპალიტეტმა დაარღვია და არ დაიცვა მათ

[11] საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.
[12] მერის მოადგილე.
[13] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.
[14] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2.
[15] აღებულია ავტომანქანების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობები.
[16] საჩხერის (აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მიიღო შესაბამისი წესი -საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №30), ჩხოროწყუს, ტყიბულის, ჩოხატაურის, ხონის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ჭიათურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.
[17] მცხეთის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურისა და წალკის მუნიციპალიტეტები.
[18] ინფორმაცია მოცემულია დანართ №2-ში.

მიერვე შემუშავებული წესი სატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობის შესახებ;[19]

- 18 მუნიციპალიტეტში[20] მათ საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებთან ერთად საწვავი გამოიყოფოდა მოხელეების კუთვნილი ავტომანქანებისთვისაც. მუნიციპალიტეტების მიერ გამოყენებულია მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 92 კერძო ავტომანქანა. საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდებული სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების საშტატო რიცხოვნობაზე. შესაბამისად, 23 მუნიციპალიტეტისათვის ავტომანქანების რაოდენობებს შორის განსხვავება 1-2 ერთეული შეიძლება იყოს.[21] ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 23-ვე მუნიციპალიტეტის ფუნქცია-მოვალეობები ერთნაირია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტების მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სამორიგეო, კერძო და განპიროვნებული ავტომანქანების გამოყენების შესახებ არსებითად განსხვავდება. მაგალითად, ჭიათურის, საჩხერის, კასპის, ხარაგაულის, ასპინძისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სამორიგეო ავტომანქანების რეკომენდებული რიცხოვნობა დაცულია. მათ შორის, ჭიათურის მუნიციპალიტეტი საქმიანობისას საწვავს გამოყოფდა 2 პერსონალური და 3 სამორიგეო, ანუ სულ 5 ავტომანქანისათვის. იმავე ფუნქციას მცხეთის მუნიციპალიტეტი ასრულებდა 104 ავტომანქანით, მათ შორის: 6 - განპიროვნებული, 15 - სამორიგეო და 83 - მოხელეების საკუთრებაში არსებული ავტომანქანით. მონაცემები მუნიციპალიტეტების მიერ გამოყენებული ავტომანქანების რაოდენობების შესახებ ასახულია დანართში №2.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია: ზოგიერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; მუნიციპალიტეტების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას; ავტომანქანების რაოდენობის შერჩევის პრინციპი არ არის განპირობებული მუნიციპალიტეტის კონკრეტული საჭიროებით და მიმართულია მოხელეების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისაკენ, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ამ ფორმით არ ითვალისწინებს.

რეკომენდაცია №1

მერიამ[22] საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების

[19] მცხეთის და წალკის მუნიციპალიტეტები.

[20] აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, თერჯოლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის, ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტები.

[21] 100 საშტატო ერთეულამდე რეკომენდებული - 5, 150-მდე - 6 და 200-მდე - 7 ავტომანქანა.

[22] თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მცხეთის, საჩხერის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალკის, ჭიათურის, ხონის მუნიციპალიტეტები.

რაოდენობა. იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც აღნიშნული წესი მიღებული აქვთ, უზრუნველყონ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის წესთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.1.3 საწვავის ხარჯვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის გამოყენებით,[23] ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს. სისტემის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევებში, შესაძლებელია პლასტიკური ბარათების გამოყენებაც, რაც უნდა იყოს დასაბუთებული.[24]

მოხელის შვებულების დროს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება.[25]

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტებში საწვავის ლიმიტი დადგენილია საკრებულოს თავმჯდომარის/მერის ბრძანებების საფუძველზე. მნიშვნელოვანია თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტი განისაზღვროს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, ხარჯვის ეკონომიური და რაციონალური პრინციპების გათვალისწინებით. ბრძანებების შესაბამისად, როგორც წესი, მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია აკონტროლოს საწვავის ხარჯვა დაწესებული ლიმიტის ფარგლებში.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში 23-მა მუნიციპალიტეტმა მსუბუქი ავტომანქანებისათვის დახარჯა 2,960.9 ტონა საწვავი, ჯამური ღირებულებით – 6,876.8 ათასი ლარი. აქედან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე გამოყენებულია – 1,173.5 ტონა, ხოლო კერძო პირების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე – 1,787.4 ტონა საწვავი. საწვავის ხარჯვის პროცესში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ხარვეზები:

აგაი სისტემის გამოყენება – საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვით საწვავის ხარჯვის კონტროლი ხორციელდება აგაი სისტემის მეშვეობით. უძრავად დამაგრებული ჩიპის საშუალებით, საწვავი გამოიყენება მხოლოდ ავტორიზებულ ავტომანქანებზე, დაწესებული ლიმიტების შესაბამისად და მინიმუმამდეა დაყვანილი არარაციონალური ხარჯვის რისკები.

ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვაზე, კერძოდ:

- 12 მუნიციპალიტეტში[26] ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ან დროის მცირე მონაკვეთში არაერთგზის ჩასხმულია ავტომობილის ავზის მოცულობაზე არსებითად მეტი ოდენობის საწვავი. ერთჯერადად, ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობა ჩასხმულია 11 მუნიციპალიტეტში,[27] სულ 102.7 ტონა საწვავი. აღნიშნული შეუსაბამობა შესაძლებელია მხოლოდ იმ

[23] აგაი სისტემა - ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება. სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებითაც ავტორიზებული ავტომობილის ავზზე ავტოგასამართ სადგურზე იდენტიფიკაციისათვის მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი).

[24] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია აგაი სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვისას შესაბამისი მეთოდების გამოყენების თაობაზე.

[25] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 55, პუნქტი 2.

[26] მცხეთის, სიღნაღის, საგარეჯოს, აბაშის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, ბაღდათის, თერჯოლის, წალენჯიხის, წალკის, ლაგოდეხისა და ლანჩხუთის მუნიციალიტეტები.

[27] მცხეთის, სიღნაღის, საგარეჯოს, აბაშის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, ბაღდათის, თერჯოლის, წალენჯიხის, წალკისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

შემთხვევაში, როცა აგაი სისტემით აღჭურვილი ავტომანქანისათვის განკუთვნილი საწვავით იმართება სხვა ტრანსპორტი, ჩიპის გადაადგილების შედეგად, მაგალითად:

– კერძო ავტომანქანის მფლობელმა ავტომანქანაში ერთჯერადად ჩაასხა საწვავი 284 ლიტრის ოდენობით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ავტომანქანის საწვავის ავზის მოცულობა 60 ლიტრია;
– მოხელის საკუთრებაში მყოფ ავტომანქანაში დროის მცირე ინტერვალში: 17:45 საათიდან 21:24 საათამდე საწვავი ჩასხმულია 5-ჯერ, ჯამში – 174 ლიტრის ოდენობით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კი, ავტომანქანის საწვავის ავზის მოცულობა 80 ლიტრია.

- შვებულების პერიოდში მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არ არიან უფლებამოსილნი ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი საწვავით, რადგან მათი სამსახურებრივი უფლებამოსილება შეჩერებულია. მიუხედავად ამისა, 17 მუნიციპალიტეტში[28] დასაქმებული პირების შვებულებაში ყოფნის დროს საწვავი ჩასხმულია 1500-ზე მეტ შემთხვევაში და დახარჯულია 43.9 ტონა საწვავი, მათ შორის, 21.7 ტონა დახარჯულია პირად საკუთრებაში მყოფ ავტომობილებზეც.[29] მაგალითად, მოხელეების შვებულებაში ყოფნის დროს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში 228 შემთხვევაში დაიხარჯა 7500 ლიტრზე მეტი საწვავი. მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირების განმარტებით, თანამშრომლებზე მიმაგრებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანებით ასევე სარგებლობდნენ სხვა თანამშრომლებიც, რამაც გამოიწვია პირების შვებულებაში ყოფნის პერიოდში ავტომანქანებში საწვავის ჩასხმის შემთხვევები. აღნიშნული დოკუმენტურად არ არის დადასტურებული.
- 16 მუნიციპალიტეტში[30] 9000-ზე მეტ შემთხვევაში, ავტომობილებში 294.7 ტონა საწვავი ჩასხმულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარეთ მდებარე ავტოგასამართ სადგურებში, რაც სავარაუდოდ, არ უკავშირდება მოხელეების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

საწვავით გამართვის საშუალებები – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე ატარებს კონსოლიდირებულ ტენდერებს. სატენდერო პირობებიდან გამომდინარე, საწვავით გამართვა პრიორიტეტულად ხორციელდება აგაი სისტემით. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ნომრიანი და უნომრო პლასტიკური ბარათების გამოყენებაც.

საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტები საწვავით გამართვის საშუალებების შერჩევისას მოქმედებდნენ არაერთგვაროვნად, კერძოდ: 13 მუნიციპალიტეტი[31] საწვავით გამართვისათვის ძირითადად გამოიყენებდა აგაი სისტემას,[32] 6

[28] მცხეთის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ცაგერის, ჩოხატაურის, ბაღდათის, თერჯოლის, წალენჯიხის, წალკის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

[29] მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, აბაშის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, წალკის, წალენჯიხის, თერჯოლისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები.

[30] მცხეთის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ჩოხატაურის, ბაღდათის, თერჯოლის, წალენჯიხის, წალკის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

[31] მცხეთის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, თერჯოლის, კასპის, ლანჩხუთისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

[32] მათ შორის, 8 მუნიციპალიტეტი (მცხეთის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, კასპისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები) აგაი სისტემასთან ერთად იყენებდა პლასტიკურ ბარათებს.

მუნიციპალიტეტი[33] ძირითადად იყენებდა პლასტიკურ ბარათებს, ხოლო 4 მუნიციპალიტეტი[34] – ტალონებს.[35]

აღსანიშნავია, რომ პლასტიკური ბარათების გამოყენება ზრდის საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის რისკს: პლასტიკური ბარათით (განსაკუთრებით უნომრო ბარათით) შესაძლებელია არაავტორიზებული ავტომანქანის საწვავით გამართვა.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ბარათების მისაღებად წარდგენილი დასაბუთებები. გამოვლინდა, რომ დოკუმენტაცია არ შეიცავს საკმარის და შესაფერის არგუმენტაციას. კერძოდ, ნომრიანი ბარათის[36] მოთხოვნის შემთხვევაში სათანადოდ არ არის განმარტებული რატომ არ შეიძლებოდა აგაი სისტემის გამოყენება, ხოლო უნომრო ბარათის შემთხვევაში – ნომრიანი ბარათის გამოყენება, მაგალითად:

– ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საწვავის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ბენზინგასამართი სადგური. მიუხედავად ამისა, აგაი სისტემა არ იყო დამონტაჟებული არც ერთ ავტომანქანაზე. შესყიდვების სააგენტოში მერიამ წარადგინა არადამაჯერებელი არგუმენტაცია[37] პლასტიკური ბარათების გამოყენებისათვის, თუმცა მიიღო შესაბამისი ნებართვა. 2020-2021 წლებში პლასტიკური ბარათებით სულ გახარჯულია 401.5 ათასი ლარის ღირებულების საწვავი.

საწვავის ხარჯვის ლიმიტები – 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტები საწვავს ხარჯავდნენ ლიმიტების შესაბამისად. საწვავის ლიმიტები დადგენილია საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის ბრძანებების საფუძველზე. სამართლებრივი აქტები, როგორც წესი, განსაზღვრავს კონკრეტული თანამდებობის პირისათვის თვის განმავლობაში დასახარჯი საწვავის მაქსიმალურ მოცულობას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ შემუშავებული საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დადგენის მეთოდი. მოწოდებული ინფორმაციით, ლიმიტები განისაზღვრება წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და არ ეფუძნება საქმიანობის სპეციფიკას, თვის განმავლობაში გასავლელ მანძილს და ავტომანქანის საწვავის ხარჯვის ნორმას. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა ლიმიტების დარღვევისა და ლიმიტის დადგენის გარეშე საწვავის ხარჯვის შემთხვევები, კერძოდ:

– თერჯოლის, წალკისა და კასპის მუნიციპალიტეტებში ლიმიტების გადაჭარბებით დახარჯულია 6.4 ტონა საწვავი. მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს გახარჯული საწვავის დოკუმენტური დასაბუთება;

[33] ონის, ცაგერის, ბაღდათის, წალენჯიხის, წალკისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები.
[34] მესტიის, ჩხოროწყუს, ტყიბულისა და ხონის მუნიციპალიტეტები.
[35] ტალონები გამოყენებულია პანდემიის პერიოდში ან/და მუნიციპალიტეტების მიერ, რომელთა ტერიტორიაზეც ტენდერში გამარჯვებული საწარმოს ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებდა.
[36] ბარათი განკუთვნილია კონკრეტული ავტომობილისათვის.
[37] მერიამ განმარტა, რომ პლასტიკური ბარათებით საწვავს მოიხმარდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიები, ფრაქციები, მერიის სამსახურები და სხვ.

– წალკის მუნიციპალიტეტში 23.1 ტონა საწვავი გაცემულია მოხელეებზე, რომელთათვისაც ხარჯვის ლიმიტები დადგენილი არ იყო.[38]

დასკვნა

საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტებში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. მუნიციპალიტეტებმა დაუშვეს საწვავის ხარჯვის პროცესის ძირითადი კონტროლის მექანიზმის – აგაი სისტემის გვერდის ავლის შესაძლებლობა და ამასთანავე, სათანადოდ არ დაიცვეს მათ მიერვე დაწესებული კონტროლები საწვავის ხარჯვის ლიმიტების სახით. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არაავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე მოხელეების შვებულებაში ყოფნის დროს, კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ და ლიმიტების დარღვევით, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია №2

მერიამ[39] დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.1.4 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილი ნორმის დარღვევა

კრიტერიუმი: საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შრომითი ხელშეკრულებით დაასაქმონ პირები[40] დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. საჯარო დაწესებულებაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.[41] არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებას, თუ მათი რიცხოვნობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობის 1%-ს. იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1 პროცენტი 5 ერთეულზე ნაკლებია, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია.[42] მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება მუნიციპალიტეტების საკრებულოსთან შეთანხმებით.

[38] საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მერის წარმომადგენლები.
[39] აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ბაღდათის, თერჯოლის, კაპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტები. მიზანშეწონილია, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინოს სხვა მუნიციპალიტეტებმაც.
[40] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.
[41] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 3.
[42] საქართველოს კანონი „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, მუხლი 25. პუნქტი 3.

მუნიციპალიტეტებმა უნდა დანერგონ ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[43]

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტებმა მოქალაქეებთან შრომითი ხელშეკრულებები გააფორმეს დამხმარე და არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაწეულმა ანაზღაურებამ 2020 წელს – 4,722.9 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს - 5,435.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების, შესაბამისად, 11.9% და 13.1%-ია.

მუნიციპალიტეტების მიერ დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად მოქალაქეთა დაქირავების პროცესი მოიცავს სისტემურ ხარვეზებს: მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა დაქირავებულთა რაოდენობების დადგენილ ზღვრებთან შეუსაბამობების, საჯარო მოხელეების ფუნქციებთან თანხვედრისა და დასაბუთების მხრივ, კერძოდ:

- 3 მუნიციპალიტეტში[44] დამხმარე ამოცანების შესასრულებლად დაქირავებულთა რიცხვი აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს, რაც მერიებს საკრებულოებთან არ შეუთანხმებიათ. მუნიციპალიტეტებს დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შეეძლოთ შრომითი ხელშეკრულებით დაესაქმებინათ 6-10 პირი, თუმცა დადგენილი ნორმის ზევით დასაქმებული ჰყავდათ 10-24 პირი (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №1. ინფორმაცია 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტებში ზენორმირებულად დასაქმებულთა რიცხოვნობის შესახებ



- 7 მუნიციპალიტეტში[45] შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის შეუსაბამობების შეთანხმებები საკრებულოებთან განხორციელდა წლის არასრულ პერიოდსა და დასაქმებულთა მხოლოდ ნაწილზე, რითაც დაირღვა დაქირავებულთა დადგენილი ზღვარი;
- 12 მუნიციპალიტეტში[46] დადგენილი ნორმის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა შეთანხმებული იყო

[43] „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[44] ჩხოროწყუს, ჩოხატაურისა და კასპის მუნიციპალიტეტები.
[45] აბაშის, საგარეჯოს, მესტიის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერისა და ხონის მუნიციპალიტეტები.
[46] ასპინძის, ამბროლაურის, ბაღდათის, მცხეთის, თერჯოლის, ლაგოდეხის, ონის, სიღნაღის, ტყიბულის, წალენჯიხის, ლანჩხუთისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები.

შესაბამისი მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დადგენილ ზღვარს ზემოთ დაქირავებულთა რიცხოვნობის საკრებულოებთან შეთანხმების პროცესი. გამოვლინდა, რომ დამხმარე ამოცანების შესასრულებლად დამატებითი კონტინგენტის დაქირავება ზოგიერთ მუნიციპალიტეტში[47] სათანადოდ არ არის დასაბუთებული. კერძოდ, არ არის განმარტებული, რატომ გახდა საჭირო კონკრეტული ფუნქციის შესრულება; შესაძლებელი იყო თუ არა იმავე ამოცანის შესრულება საჯარო მოსამსახურეების მიერ და სხვ.

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,[48] მუნიციპალიტეტების ფუნქცია-მოვალეობები ერთნაირია. განსხვავებები მოსახლეობის რაოდენობას, სამოქმედო ტერიტორიებსა და, შესაბამისად, დატვირთვებს შორის კომპენსირდება საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობით. აქედან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა რიცხოვნობაც, რომელიც დამოკიდებულია საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობაზე, ლოგიკურად თანხვედრილი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, დადგენილ ზღვარს ზემოთ დაქირავებულთა რიცხოვნობის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად მუდმივი და დამხმარე ამოცანების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია მინიმუმ – 5 და მაქსიმუმ, 42 დაქირავებული. აღნიშნული განსხვავება არსებითად არ გამომდინარეობს მუნიციპალიტეტების საქმიანობის სპეციფიკიდან. მაგალითად, არსებობს დაქირავებულთა სულ მცირე 15 ფუნქცია-მოვალეობა, რომელიც გვხვდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა აღნიშნული ფუნქციების საჭიროებაში;[49]
- დამხმარე ამოცანების შესასრულებლად მუნიციპალიტეტები, როგორც წესი, იყენებენ მძღოლების, თანაშემწეების, დამლაგებლებისა და სხვა მსგავსი ფუნქციების მქონე ადამიანების დაქირავებულ შრომას; დამხმარე ამოცანების შესრულება ლოგიკურად გულისხმობს ისეთ ფუნქციებს, რომელთაც ძირითადი საშტატო განრიგით დასაქმებული მოხელეები არ ასრულებენ. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა ხელშეკრულებით დასაქმებულთა სულ მცირე 10 მოვალეობა, რომელიც საჯარო მოსამსახურეების ამოცანების იდენტურია.[50] შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს ამ მიზნით შრომითი ხელშეკრულებები არ უნდა გაეფორმებინათ;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის დეკემბერში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, ერთდროულად დაქირავებული იყო 11 პირი, რაც 6 ერთეულით აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

[47] ბაღდათის, ლაგოდეხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები.

[48] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თავი 3.

[49] კრივის მწვრთნელი; ჭიდაობის საწვრთნელი მუშაობის ზედამხედველი; საკრებულოსთან ურთიერთობის წარმართვა, საკრებულოს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად კომისიებისა და საკრებულოს სხდომის საკითხების მომზადების ორგანიზება; ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

[50] იურისტი; ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, მშენებლობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ზედამხედველობა; მერიაში შემოსული წერილების შესრულების ვადების კონტროლი, სახელმწიფოს შესყიდვების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების შესრულებაზე დადგენილი ვადების კონტროლი და სხვ.

	აღნიშნული შეთანხმებული არ ყოფილა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.
დასკვნა	მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას: მუნიციპალიტეტებში 2020-2021 წლებში დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად დაქირავებული იყო დადგენილ ნორმაზე მეტი პირი; ზოგ შემთხვევაში, დაქირავებულთა ფუნქცია-მოვალეობები საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტური ან/და დაუსაბუთებელია; არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტები შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედებდნენ არა თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ კონკრეტული პირების დასაქმების მიზნით.
2.1.5 საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯი	**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.[51] **ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2020-2021 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 3,117.8 ათასი ლარი.[52] საკრებულოს დადგენილებებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად მუნიციპალიტეტების მიხედვით განსაზღვრული იყო სხვადასხვა ზღვრული მოცულობა – ყოველთვიურად, 397-630 ლარის ოდენობით.[53] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძვლად მითითებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. თავის მხრივ, საკრებულოს წევრები ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიურ ინფორმაციას წარუდგენდნენ საკრებულოს აპარატის უფროსს, მათი აქტივობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის განმარტებას.[54]

[51] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

[52] 2020 წელი - 1,519.7 ათასი ლარი და 2021 წელი - 1,598.1 ათასი ლარი.

[53] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი არ აქვს შემუშავებული.

[54] განსხვავებული პრაქტიკა აქვს წალკის მუნიციპალიტეტს: საკრებულოს წევრები გაწეული ხარჯის დასადასტურებლად წარმოადგენენ მიღება-ჩაბარების აქტებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საკრებულოს წევრმა საანგარიშო პერიოდში მიიღო ლიმიტით განსაზღვრული თანხის

	შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.
დასკვნა	მუნიციპალიტეტებმა 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 3,117.8 ათასი ლარი გასცეს შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ. საკრებულოს წევრებზე დადგენილებით განსაზღვრული ძირითადად მაქსიმალური თანხები ფაქტობრივად გაცემულია შრომის ანაზღაურების სახით, რაც ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ.[55]
რეკომენდაცია №3	მერიამ[56] საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას და საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

2.1.6 მივლინების პროცესში არსებული ნაკლოვანებები	**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოხელე შესაძლებელია გაგზავნოს მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ.[57] ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად თითოეული დაწესებულება შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[58]

ღირებულების საავტომობილო მომსახურება. აღნიშნული დოკუმენტებიც ასევე რისკის შემცველია, რადგან საკრებულოს წევრებს სატრანსპორტო მომსახურების საფასური, ხშირ შემთხვევაში, დაფიქსირებული აქვთ ხარჯის ანაზღაურების ლიმიტის მაქსიმალური ოდენობით.

[55] ხარვეზი ვრცელდება ქვეყნის ყველა წარმომადგენლობით ორგანოზე.

[56] აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ბაღდათის, თერჯოლის, კაპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტები.

[57] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1.

[58] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინება განხორციელდა 8 მუნიციპალიტეტში,[59] რაზეც სულ დახარჯულია 73.1 ათასი ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 35.3 ათასი, 2021 წელს – 37.8 ათასი ლარი. აღნიშნულ წლებში საზღვარგარეთ მივლინებით ისარგებლა 43-მა პირმა, 16 მივლინების ფარგლებში. გაწეული ხარჯი მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა №2. მონაცემები მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2021 წლებში ქვეყნის საზღვრებს გარეთ განხორციელებული მივლინებების შესახებ (ათასი ლარი)



2020-2021 წლების ხარჯებიდან 5.3 ათასი ლარი მოდის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაზე სასწავლო ხასიათის ღონისძიებებზე დასასწრებად, ხოლო 15.2 ათასი ლარით დაფინანსდა პროექტებში ჩართულობა და სხვა სამუშაო ვიზიტები. სამივლინებო თანხებიდან ყველაზე დიდი წილი – 52.6 ათასი ლარი (62%) დაიხარჯა ფორუმებში, ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობაზე. აქედან, 30.4 ათასი ლარი დახარჯა ბაღდათის მუნიციპალიტეტმა, 17.9 ათასი ლარი – მესტიის მუნიციპალიტეტმა, ხოლო 4.3 ათასი ლარი – დანარჩენმა მუნიციპალიტეტებმა.

მუნიციპალიტეტებში დანერგილი სამივლინებო პროცესი მოიცავს მივლინების დასაბუთებას, სამართლებრივი აქტების მიღებას მივლინებული პირების/დაფინანსების გამოყოფის შესახებ და შესაბამისი პირების ფინანსურ ანგარიშგებას სამივლინებო ხარჯების შესახებ. თვითმმართველ ერთეულებს არა აქვთ შემუშავებული რაიმე წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებმა უმრავლეს შემთხვევაში ვერ წარმოადგინეს დოკუმენტური მტკიცებულებები სამივლინებო თანხების ეფექტიანად გამოყენების შესახებ. კერძოდ, არ მომზადებულა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მივლინებებით დასახული მიზნებისა და მიღწეული კონკრეტული შედეგების შეფასებას (სამართლებრივი აქტები, სათათბირო გადაწყვეტილებები მივლინების შედეგებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; მივლინებული პირების ანგარიშები მივლინების შედეგებისა და

[59] ბაღდათის, ლაგოდეხის, ონის, მცხეთის, მესტიის, ცაგერის, ჩოხატაურისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

	მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე და სხვ.).[60] შესაბამისად, სათანადოდ არ არის დასაბუთებული მივლინებების საჭიროება, მუნიციპალიტეტების ინტერესებთან კავშირში. არსებობს რისკი, რომ ზოგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელმა პირებმა წინასწარვე იცოდნენ, რომ მივლინებას არ ექნებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში თვითმმართველი ერთეულისათვის სასარგებლო კონკრეტული, გაზომვადი, შეფასებადი და დადებითი შედეგი ან/და შედეგების განხილვა/შეფასება ვერ განხორციელდა მისი არარსებობის გამო.
დასკვნა	მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. 2020-2021 წლებში საჯარო მოხელეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისთვის 73.1 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება. არსებობს რისკი, რომ მივლინების საჭიროება ზოგ შემთხვევაში განსაზღვრული არ არის თვითმმართველი ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სამივლინებო თანხებს იყენებდნენ არარაციონალურად.
რეკომენდაცია №4	მერიამ[61] საკრებულოსთან შეთანხებით შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. წესით მიზანშეწონილია განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომლებიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებათა გეგმას მივლინების შედეგების მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენების შესახებ და ასევე მივლინებული პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენას მიღებული ცოდნა/გამოცდილების განვრცობის თაობაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის გაზრდას.
2.1.7 დოკუმენტურად დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯები	**კრიტერიუმი:** საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გადასახდელები ითვალისწინებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას და მოიცავს: მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების, საკონსულო მომსახურების, მაჟორიტარ-დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.[62] დაწესებულების ხელმძღვანელი, დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების შემუშავებას, ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა

[60] ცაგერის მუნიციპალიტეტში შედგენილია ანგარიში მივლინების მიმდინარეობის შესახებ, თუმცა არ არის საკმარისად ინფორმაციული, ხოლო სიღნაღის მუნიციპალიტეტში შედგენილია ანგარიში მხოლოდ 1 მივლინების ფარგლებში.

[61] ბაღდათის, ლაგოდეხის, მესტიის, მცხეთის, ონის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ცაგერის მუნიციპალიტეტები. მიზანშეწონილია, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინოს სხვა მუნიციპალიტეტებმაც.

[62] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, თავი 5, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია.

და ქმედებებს. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.[63]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითმა ხარჯებმა 2020-2021 წლებში 576.7 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2020 წელს დახარჯულია 234.8 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს – 341.9 ათასი ლარი. 23 მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან დახარჯული თანხის 55% (315.9 ათასი ლარი) 3 მუნიციპალიტეტზე მოდის: მესტია – 176.0 ათასი ლარი, ჭიათურა – 82.3 ათასი ლარი, სიღნაღი – 57.6 ათასი ლარი.

„წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებულია სტუმართა ოფიციალური მიღების ღონისძიებები და კვებითი მომსახურება, სტუმრებისთვის სუვენირების შეძენა, სასტუმროს მომსახურება და ბილეთების შესყიდვა. გაწეული ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება:

დიაგრამა №3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2021 წლებში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ



მუნიციპალიტეტებმა 2020-2021 წლებში წარმომადგენლობითი ხარჯის 74%-ზე მეტი დახარჯეს სტუმრების კვებით მომსახურებაზე. წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის პროცედურა და მასთან დაკავშირებით შესადგენი დოკუმენტაცია, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კონკრეტულად არ არის განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვის ვალდებულებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი ხარჯების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად უნდა არსებობდეს შესაბამისი დოკუმენტური ინფორმაცია. წარმომადგენლობითი ხარჯების პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- მუნიციპალიტეტები არ/ვერ ასაბუთებენ გაწეული კვებითი მომსახურების აუცილებლობასა და საჭიროებას. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტებით ცალსახად ვერ დგინდება, რომ კონკრეტული ღონისძიების დაგეგმილი

[63] „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 3; მუხლი 10, პუნქტი 2; მუხლი 13, პუნქტი 3.

შედეგის მიღწევა შეუძლებელი იყო სტუმრებისათვის სარესტორნო ან მსგავსი ტიპის მომსახურების მიწოდების გარეშე;

- აუდიტის ობიექტების ნაწილმა ხარჯების დამადასტურებელი სრული ინფორმაცია ვერ წარმოადგინა. თანხები ძირითადად ანაზღაურებულია მიღება-ჩაბარების აქტებისა და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე: კერძოდ, 12 მუნიციპალიტეტში[64] შესაბამისი სამსახურები არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას, ვის გაეწია კვებითი მომსახურება;
- 11-მა მუნიციპალიტეტმა[65] 28.1 ათასი ლარი დახარჯა სახელმწიფო უწყებების თანამდებობის პირების კვების ორგანიზებისათვის. კერძოდ, წარმომადგენლობითი ხარჯები გაწეულია სხვადასხვა სამინისტროსა და ორგანიზაციის წარმომადგენლების, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისა და სხვა ოფიციალური პირების სტუმრობისას და სხვ. სახელმწიფო უწყების თანამშრომლებს ეძლევათ სამივლინებო ანაზღაურება, რომელიც მოიცავს კვების თანხებსაც, შესაბამისად, 28.1 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად;
- 12-მა მუნიციპალიტეტმა[66] 2020-2021 წლებში 112.9 ათასი ლარი დახარჯა სტუმრებისთვის სუვენირებისა და საჩუქრების შესყიდვის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საჩუქრები გადაეცათ სხვადასხვა სპორტულ/კულტურულ ღონისძიებაში მონაწილე პირებს, უცხო ქვეყნის ვიზიტორებს, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს და ა.შ. დოკუმენტური შემოწმებით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტს[67] არა აქვს სრული მონაცემები, კონკრეტულად ვის გადაეცა შესყიდული საჩუქრები, ასევე გაურკვეველია, როგორ განისაზღვრა შესასყიდი საჩუქრების საჭიროება და რაოდენობა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები არ არის დასაბუთებული. სტუმრების კვების ხარჯები მუნიციპალიტეტებმა გასწიეს კონკრეტული ღონისძიებისა და თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გაუთვალისწინებლად. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში თანხები დახარჯულია შესაბამისი დოკუმენტური აღრიცხვისა და დასაბუთების გარეშე. აღნიშნული შეიცავს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი და არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია №5

მერიამ[68] საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უმჯობესია განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი

[64] ამბროლაურის, სიღნაღის, ტყიბულის, ცაგერის, ბაღდათის, თერჯოლის, საგარეჯოს, მცხეთის, ონის, მესტიის, ჭიათურისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

[65] აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ჩხოროწყუს, სიღნაღის, ბაღდათის, საჩხერის, ხარაგაულის, მესტიის, ჭიათურისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

[66] ჭიათურის, ხარაგაულის, ლაგოდეხის, თერჯოლის, ბაღდათის, საგარეჯოს, ონის, მესტიის, მცხეთის, ცაგერის, ტყიბულისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

[67] ჭიათურის, მესტიისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

[68] აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ბაღდათის, თერჯოლის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. მიზანშეწონილია, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინოს სხვა მუნიციპალიტეტებმაც.

დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს. ამასთანავე, არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას, შესაბამისმა სამსახურებმა პირველ რიგში გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები.

2.1.8 იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტებმა შესაბამის რეგიონებში ერთობლივად დააფუძნეს რეგიონული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონების იმიჯის ამაღლებას, ტურიზმის პოპულარიზებას, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავებას, ეკონომიკურ გაძლიერებას და სხვ. მუნიციპალიტეტებს, როგორც დამფუძნებლებს, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ა(ა)იპ-ების საქმიანობასა და მართვაში.[69]

მუნიციპალიტეტებმა უნდა დანერგონ ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[70]

მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება და მონიტორინგი გაუწიონ თანხების ხარჯვას.[71]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტებმა 2020-2021 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ მუხლიდან 587.2 ათასი ლარი დახარჯეს სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციის დაფინანსებაზე, მათ შორის, 360.6 ათასი ლარი მოდის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე.[72]

დიაგრამა №4. მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2021 წლებში ორგანიზაციებზე გაწეული დაფინანსება



მუნიციპალიტეტების საქმიანობაში რეგიონული ორგანიზაციების მართვის, გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობისა და მიღწეული შედეგების შეფასების მხრივ ფიქსირდება ნაკლოვანებები, კერძოდ:

[69] რეგიონული ა(ა)იპ-ების წესდებები.
[70] „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[71] ა(ა)იპ - საქართველოს წითელ ჯვარსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
[72] 2020 წელს - 200.0 ათასი ლარი, 2021 წელს - 160.6 ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ დამოკიდებულება რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ, ძირითადად, ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებდა მათი საჭიროებისა და ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტების უმეტესობამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, კონკრეტულად რა აქტივობები განახორციელეს აღნიშნულმა სუბიექტებმა[73] და შედეგად, რა სარგებელი მიიღეს მუნიციპალიტეტებმა ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების კუთხით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გაწეული 360.6 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული. ამასთანავე, მუნიციპალიტეტებს, როგორც ა(ა)იპ-ების დამფუძნებლებს, ვალდებულების მიუხედავად სუბიექტების საქმიანობა არ გაუკონტროლებიათ და არ შეუფასებიათ, რამდენად შეესაბამება ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა მუნიციპალიტეტების ინტერესებს და გაწეულ ხარჯებს;
- მუნიციპალიტეტების მიერ ასევე დაფინანსებულია ორგანიზაციები, რომლებიც არ არის დაფუძნებული მათ მიერ. 2020-2021 წლებში ყველაზე მეტი თანხა – 199.6 ათასი ლარი,[74] მიღებული აქვს ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, დანარჩენი 27.0 ათასი ლარით დაფინანსებულია სპორტული ფედერაციები, ჯანმრთელობის ცენტრი, უფლებათა დაცვის ორგანიზაცია და ა.შ. ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაზე 23 მუნიციპალიტეტიდან ხარჯი გაწეულია 4 მუნიციპალიტეტის მიერ.[75]

ცხრილი №3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსების შესახებ (ათასი ლარი)

	მუნიციპალიტეტი	გაწეული დაფინანსება	დაფინანსებული ორგანიზაცია
1	სიღნაღი	105.0	ა(ა)იპ - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
2	ცაგერი	30.0	
3	ონი	30.0	
4	ამბროლაური	34.6	
	სულ:	**199.6**	

ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები აფინანსებდნენ პროგრამას, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ:

- საჭიროებაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება სოციალურად დაუცველ ფენებს;
- დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენცია უსაფრთხო ცხოვრებისათვის;

[73] ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტში ორგანიზაციას წარდგენილი აქვს ინფორმაცია მუნიციპალიტეტისთვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
[74] 2020 წელს - 84.7 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს - 114.9 ათასი ლარი.
[75] სიღნაღის, ცაგერის, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები.

	• ხელმისაწვდომობა ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურებაზე. მუნიციპალიტეტები[76] პრაქტიკულად არ ატარებდნენ მონიტორინგს დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე, კერძოდ, მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები პროგრამის განხორციელების პროცესში ჩატარებული ღონისძიებების კონკრეტული შედეგების შესახებ.
დასკვნა	მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს რეგიონულ ორგანიზაციებზე გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების ეფექტიანობის შეფასებას. 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტებმა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად დახარჯეს 587.2 ათასი ლარი; არ შეუსწავლიათ რა შედეგი მიიღო თვითმმართველმა ერთეულმა.
რეკომენდაცია №6	მერიამ[77] განახორციელოს დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და დასაფინანსებელი პროგრამების შესრულების ყოველწლიური სამოქმედო გეგმების წინასწარი განხილვა და შეფასება – ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები რამდენად სრულად, ნათლად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და მათი საშუალებით რამდენად შესაძლებელია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ამასთანავე, შეიმუშაოს მიდგომა, რითაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული დასახული მიზნების მიღწევის გზები და იდენტიფიცირებული იქნება მისაღწევი შედეგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან ხარჯვას.
2.1.9 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები	**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.[78] მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ თანამშრომლებს ისედაც ევალებათ. მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.[79] **ფაქტობრივი გარემოება:** 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტებმა მემორანდუმები გააფორმეს ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან, საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხებში საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით. მემორანდუმის თანახმად, წლიური საწევრო განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.[80] 20

[76] წარმოდგენილია ინფორმაციები, ორგანიზაციის მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ტრენინგების შესახებ.
[77] ამბროლაურის, ასპინძის, ბაღდათის, თერჯოლის, ლაგოდეხის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ცაგერის, წალკის, ჭიათურის, ხონის მუნიციპალიტეტები.
[78] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.
[79] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1, „ჟ“ და „ს“ ქვეპუნქტები.
[80] 0-დან 1 000 მოსახლემდე რიცხოვნობის შემთხვევაში, მემორანდუმის ღირებულება 5.0 ათასი ლარია, 1 000-დან 50 000 მოსახლემდე - 10.0 ათასი ლარი, 50 000-დან 100 000 მოსახლემდე - 20.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტს[81] საკონსულტაციო მომსახურებაზე დახარჯული აქვს 407.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, 2020-2021 წლებში 8 მუნიციპალიტეტს[82] საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ასევე შპს „ჰფმ პარტნერსთან“. ხელშეკრულება გულისხმობდა ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე დარიცხვის მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაში დახმარებას. აღნიშნული მომსახურებისათვის მუნიციპალიტეტებმა სულ გადაიხადეს 39.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში, დაგეგმოს მოხელეების გადამზადება. ამასთანავე, მომსახურების შესყიდვის აუცილებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს უნდა ემოქმედათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მემორანდუმების გაფორმებას არ ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობების მიერ შექმნილია ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. ასოციაციის წევრებს წარმოადგენენ დამფუძნებელი და ა(ა)იპ-ის რეგისტრაციის შემდგომ მასში გაწევრიანებული მუნიციპალიტეტები, რომლებიც იხდიან საწევრო გადასახადს. 2020-2021 წლებში 20 მუნიციპალიტეტს[83] საწევროს სახით გადახდილი აქვს 60 ათას ლარზე მეტი. ასოციაციის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტების განვითარების კოორდინაცია და პრობლემათა იდენტიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოხელეთა სწავლების ორგანიზება, არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება და დანერგვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო მასალების მომზადება და გავრცელება, ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და სხვ. ფუნქციათა მრავალფეროვნებისა და საწევრო შენატანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტებმა სათანადოდ არ გამოიყენეს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტებში საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ შრომითი რესურსი და ვალდებული არიან აღნიშნული საქმიანობა განახორციელონ საკუთარი რესურსებით. ამასთანავე, მომსახურებისათვის მემორანდუმის სახით გამოყენებულია სახელმწიფო შესყიდვებთან შეუსაბამო ფორმა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 407.0 ათასი ლარი ნაწილობრივ არარაციონალური ხარჯია.

[81] მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის, აბაშის, ამბროლაურისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები.

[82] თერჯოლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ცაგერის, ჭიათურის, აბაშისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები.

[83] მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, ბაღდათის, თერჯოლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ცაგერის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, აბაშის, ამბროლაურისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაცია №7	მერიამ[84] მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.
2.1.10 სასამართლო დავები	**ფაქტობრივი გარემოება:** 2020-2021 წლებში 4-მა მუნიციპალიტეტმა[85] აწარმოა და წააგო სასამართლო დავები გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებთან. მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების ბრძანებებით გათავისუფლდნენ სხვადასხვა თანამდებობის საჯარო მოხელეები. გათავისუფლებულმა პირებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და მოითხოვეს სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. დავები გაგრძელდა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, რაც პირების გამარჯვებით დასრულდა. სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა კომპენსაციისა და განაცდურის სახით ჯამში აანაზღაურეს 194.7 ათასი ლარი.[86]
დასკვნა	სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით მუნიციპალიტეტებმა საჯარო მოსამსახურეები სათანადო დასაბუთების გარეშე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მმართველობით პროცესში მიღებული შეუსაბამო გადაწყვეტილებების შედეგად მუნიციპალიტეტებმა გასწიეს 194.7 ათასი ლარის დამატებითი ხარჯი.
2.2 სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვები **2.2.1 ფაქტობრივი დანახარჯების გარეშე ანაზღაურებული თანხები**	**კრიტერიუმი:** საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,[87] 2012 წლის პირველი ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნაზღაურდება შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშფაქტურებით, ხელფასის ჩარიცხვის დოკუმენტით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ. **ფაქტობრივი გარემოება:** 2020-2021 წლებში 40.0 ათას ლარს ზემოთ ღირებულების სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული წესით შესყიდული აქვს 18 მუნიციპალიტეტს.[88] კერძოდ, სულ გაფორმებულია 180 ხელშეკრულება,

[84] აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტები.

[85] მცხეთის, წალენჯიხის, ამბროლაურის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები. დავები დაწყებულია წინა წლებში, ხოლო თანხები ანაზღაურებულია 2020-2021 წლებში.

[86] მცხეთის მუნიციპალიტეტი - 60.1 ათასი ლარი; ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - 10.4 ათასი ლარი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - 49.3 ათასი ლარი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი - 74.9 ათასი ლარი.

[87] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

[88] აბაშის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.

ჯამური ღირებულებით – 34,881.2 ათასი ლარი.[89] მუნიციპალიტეტებმა ძირითადად შეისყიდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სხვა სამუშაოები.

გამარტივებული შესყიდვის დროს, სამუშაოს/საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. სწორედ ამ რისკებიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის პროცესი. გამოვლინდა, რომ მერიებს ამ მიზნით რაიმე წესი/მეთოდი შემუშავებული არ აქვთ. შესაბამისად, არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც პროცესს სანდოს და კონტროლირებადს გახდის. მუნიციპალიტეტები სამუშაოების რეალური ღირებულების დასადგენად ძირითადად იყენებენ რამდენიმე მიდგომას, რომლებიც სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის რისკის შემცველია, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტები მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს არ ითვალისწინებდნენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს – მიმწოდებლებისაგან არ ითხოვდნენ დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების შესაბამისად. შედეგად, სამმა მუნიციპალიტეტმა[90] 36 ხელშეკრულების ფარგლებში 3,549.5 ათასი ლარი აანაზღაურა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე, კერძოდ:
  - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 10 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებისათვის ანაზღაურებულია 1,127.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ფაქტობრივმა დანახარჯებმა 1,062.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურებულია 64.2 ათასი ლარი;[91] ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის – ორი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ზედმეტად ანაზღაურებულია 8.2 ათასი ლარი.[92] ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად შესწავლის შემთხვევაში, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა შესაძლოა გაიზარდოს.
- მუნიციპალიტეტები სამუშაოების ფაქტობრივ დანახარჯებს და ღირებულებას განსაზღვრავდნენ საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

[89] 40.0 ათას ლარს ზემოთ სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული შესყიდვის გზით ხონის, წალკის, ტყიბულის, ამბროლაურისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს არ განუხორციელებიათ.

[90] ლაგოდეხის, ხარაგაულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები.

[91] CMR210110596 - 13.4 ათასი ლარი; CMR210110593 - 16.6 ათასი ლარი; CMR210110592 - 5.8 ათასი ლარი; CMR210110589 - 2.7 ათასი ლარი; CMR210105611 - 4.8 ათასი ლარი; CMR210099567 - 7.4 ათასი ლარი; CMR210100223 - 2.0 ათასი ლარი; CMR210099564 - 5.3 ათასი ლარი; CMR200129543 - 5.4 ათასი ლარი; CMR200087915 - 0.8 ათასი ლარი.

[92] საგარეჯოს მუნიციპალიტეტი: CMR210103219 - 2.9 ათასი ლარი; CMR210070538 - 4.7 ათასი ლარი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი: CMR200104453 - 0.6 ათასი ლარი.

კერძოდ, 15-მა მუნიციპალიტეტმა[93] 144 ხელშეკრულების ფარგლებში ამ ფორმით აანაზღაურა 31,331.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

– ზოგ შემთხვევაში საექსპერტო დასკვნები არ შეიცავს ინფორმაციას სასაქონლო ზედდებულების, ხელფასის უწყისების, ტრანსპორტის დაქირავებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენის შესახებ ან/და ექსპერტიზის მიერ ფაქტობრივი დანახარჯები არასათანადოდ არის დათვლილი. სახელშეკრულებო ღირებულება ამ შემთხვევაში დგინდებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარჯთაღრიცხვის ერთეული ფასების მიხედვით, რაც შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ფაქტობრივ დანახარჯებს, კერძოდ:

ოთხი მუნიციპალიტეტის[94] შემთხვევაში, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება იყო თუ არა შესწავლილი მთავრობის დადგენილების შესაბამისად და მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თერჯოლის, საგარეჯოს და საჩხერის მუნიციპალიტეტებმა 7 ხელშეკრულების ფარგლებში, საერთო ღირებულებით – 558.8 ათასი ლარი, მიმწოდებლებს ზედმეტად აუნაზღაურეს, არანაკლებ, 28.6 ათასი ლარი.[95] ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად შესწავლის შემთხვევაში, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა შესაძლოა გაიზარდოს.

ასევე ონის მუნიციპალიტეტში ერთი ხელშეკრულებისათვის, ღირებულებით – 795.6 ათასი ლარი,[96] საექსპერტო კომპანიას სასაქონლო ზედნადებები სრულად არ შეუსწავლია. კერძოდ, დაუდასტურებელი სამშენებლო მასალების ღირებულებამ 75.2 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული მიდგომა რისკის შემცველია, რადგან სამუშაოების ფასი გაანგარიშებულია მხოლოდ დოკუმენტაციის ნაწილზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ფაქტობრივ ღირებულებას.

– ზოგ შემთხვევაში საექსპერტო დაწესებულებას ფაქტობრივი დანახარჯის დოკუმენტად, ნაცვლად სასაქონლო ზედნადებისა, ჩათვლილი აქვს კერძო პირებთან გაფორმებული შესყიდვის აქტები. შედეგად, 6-მა მუნიციპალიტეტმა 9 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებს შესყიდვის აქტების საფუძველზე სულ აუნაზღაურა 61.8 ათასი ლარი.[97] მიდგომა რისკის შემცველია, რადგან აღნიშნული აქტები არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და შესაძლოა მასში მოყვანილი მონაცემები არ შეესაბამებოდეს რეალობას, მაგალითად:

[93] აბაშის, ბაღდათის, თერჯოლის, კასპის, ლანჩხუთის, მესტიის, მცხეთის, ონის, საჩხერის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

[94] თერჯოლის, საგარეჯოს, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტები.

[95] თერჯოლის მუნიციპალიტეტი - CMR210094634 - 3.8 ათასი ლარი; CMR200069969 - 6.1 ათასი ლარი; CMR210097116 - 4.0 ათასი ლარი; CMR200069972 - 4.4 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - CMR200072653 - 3.5 ათასი ლარი; CMR210070537 - 6.2 ათასი ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტი - CMR200096464 - 0.6 ათასი ლარი („შპს „ჯდკ"-მ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დააბრუნა აღნიშნული თანხა).

[96] CMR200109496.

[97] მცხეთის მუნიციპალიტეტი - CMR200107607 - 17.5 ათასი ლარი; სიღნაღის მუნიციპალიტეტი - CMR210104387- 3.3 ათასი ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - CMR200102287 - 6.9 ათასი ლარი; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი - CMR210082700 - 9.4 ათასი ლარი; CMR200122300 - 3.4 ათასი ლარი; CMR210073182 - 13.2 ათასი ლარი; ონის მუნიციპალიტეტი - CMR200110334 - 1.5 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - CMR20095991 - 2.2 ათასი ლარი; CMR210070535 - 4.4 ათასი ლარი.

მცხეთის მუნიციპალიტეტში მიმწოდებელმა ხელშეკრულების[98] შესაბამისად წარმოადგინა ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, ფიზიკურ პირთან გაფორმებული შესყიდვის აქტები. საექსპერტო ორგანიზაციამ შეისწავლა ფაქტობრივი დანახარჯები და მიუთითა, რომ კერძო პირთან გაფორმებული შესყიდვის აქტების გამო, 17.5 ათასი ლარის ჩათვლა იყო მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტი. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული თანხა მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შესყიდულ მასალებზე წარმოდგენილი ზედნადებების შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლები სამუშაოებს სავარაუდოდ ასრულებდნენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევით. კერძოდ, 4 მუნიციპალიტეტში[99] სასაქონლო ზედნადებები დათარიღებულია სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ. სათანადო კონტროლის პირობებში, მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და მიმწოდებლებისთვის მიწოდების ვადის დარღვევის გამო, დაერიცხათ შესაბამისი პირგასამტეხლო. შედეგად, 9 ხელშეკრულების[100] ფარგლებში მიმწოდებლების დაჯარიმების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები მიიღებდნენ 16.5 ათასი ლარის შემოსავალს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მეთოდი გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დასათვლელად. მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა რისკის შემცველია და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას. კერძოდ, 2020-2021 წლებში 20 ხელშეკრულების შემთხვევაში 101.0 ათასი ლარი ანაზღაურებულია ზედმეტად; ერთი ხელშეკრულებისათვის – 75.2 ათასი ლარი, ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე, ხოლო 10 ხელშეკრულებისათვის – 61.8 ათასი ლარი, კერძო პირებთან გაფორმებული შესყიდვის აქტებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები გამარტივებული შესყიდვის დროს ვერ იცავენ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასად მიწოდების პირობას.

რეკომენდაცია №8

მერიამ[101] შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციით მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს მიმწოდებლების თანაბარ პირობებში ჩაყენებასა და საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურ ხარჯვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

[98] CMR200107607.

[99] ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხარაგაულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები.

[100] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - CMR200102285 - 0.9 ათასი ლარი; CMR200102286 - 0.6 ათასი ლარი; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი - CMR200105445 - 4.3 ათასი ლარი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - CMR200116881 - 0.5 ათასი ლარი; CMR200104453 - 0.2 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - CMR210070535 - 6.4 ათასი ლარი; CMR210149583 - 0.6 ათასი ლარი; CMR200125246 - 1.6 ათასი ლარი; CMR200072653 - 1.4 ათასი ლარი.

[101] თერჯოლის, ლაგოდეხის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. მიზანშეწონილია, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინოს სხვა მუნიციპალიტეტებმაც.

2.3 შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მერიაში საკრებულოს მიერ დამტკიცებული მერიის დებულების საფუძველზე იქმნება შიდა აუდიტის სუბიექტი, რომლის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო. შიდა აუდიტის სამსახური დაწესებულებას მიზნების მიღწევაში ეხმარება შემდეგი საქმიანობების განხორციელებით: დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება; ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება; დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს აუდიტის წლიურ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.[102]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტებში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახურები, რომლებიც დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. სამსახურების საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები:

სამსახურებს არ განუხორციელებიათ შემოწმებული ობიექტების, ასევე ზოგადად, მუნიციპალიტეტის კონტროლის მექანიზმებისა და საქმიანობის რისკების შეფასების სათანადო პროცედურები და სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება, რაც გააუმჯობესებდა ობიექტების საქმიანობას.

წალკისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის სამსახურს თავისი მოვალეობები არ შეუსრულებია და არ ფუნქციონირებდა, კერძოდ:

- 2020-2021 წლებში, წალკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ წარმოადგინა წლიური და სტრატეგიული გეგმები, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება, არ შეუდგენია აუდიტორული ანგარიშები და არ გაუცია რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში დამტკიცებული საშტატო ნუსხების შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 2 თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით აღებული აქვთ 42.1 ათასი ლარი;
- წარმოდგენილი ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს 2020 წელს არ შეუდგენია სამოქმედო გეგმა, არ ჩაუტარებია არც ერთი აუდიტორული შემოწმება და არ გაუცია რეკომენდაცია. 2021 წელს გეგმით გათვალისწინებული – 4-ის ნაცვლად, სამსახურმა ჩაატარა 2 აუდიტორული შემოწმება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 2 თანამშრომელი, რომელთაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ 23.2 ათასი ლარი.

13 მუნიციპალიტეტში[103] შიდა აუდიტის სამსახურს არ აქვს შესრულებული წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები.

[102] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი; მუხლი 18, მე-2 და მე-3 პუნქტები; მუხლი 21, პუნქტი 4.

[103] აბაშის, ბაღდათის, თერჯოლის, მცხეთის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ცაგერის, ჭიათურის, ხარაგაულის და ხონის მუნიციპალიტეტები.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი პანდემია იყო, მაგალითად:

- მუნიციპალიტეტმა 2020 წელს დაგეგმა – 4, ხოლო 2021 წელს – 5 აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი დოკუმენტებით 2020 წელს ჩაატარა – 1, ხოლო 2021 წელს – 4 აუდიტორული შემოწმება.
- მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში დაგეგმა 5-5 აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი დოკუმენტებით 2020 წელს ჩაატარა – 3, ხოლო 2021 წელს – 4 აუდიტორული შემოწმება.

შიდა აუდიტის სამსახურების ანგარიშების შესწავლით გაირკვა, რომ 6 მუნიციპალიტეტში[104] სამსახურებს არ შეუსწავლიათ მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა და შესაბამისად, არ განუხორციელებიათ შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, არ არის შეფასებული, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად იყენებენ ფინანსებს, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურებს სათანადოდ არ შეუფასებიათ, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტების საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურების საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №9

მერიამ[105] უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

აუდიტორები	**ხელმოწერა**
ქრისტინე ეკალაძე უფროსი აუდიტორი	
სოფიო ბელთაძე უფროსი აუდიტორი	
თათია ამბროლაძე უფროსი აუდიტორი	
ნინო ლაღიძე აუდიტორი	
ირაკლი გოგოლიძე აუდიტორი	

[104] ონის, საჩხერის, ცაგერის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტები. თერჯოლის მუნიციპალიტეტს ჩატარებული აქვს მხოლოდ საწვავის ლიმიტების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი.

[105] აბაშის, ბაღდათის, თერჯოლის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტები.

დანართები

დანართი №1

მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი აუდიტის საგნის შესაბამისად

მუნიციპალიტეტების დასახელება	აუდიტის მასშტაბი
აბაშის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ასპინძის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
კასპის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
მესტიის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
მცხეთის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ონის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
საჩხერის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ცაგერის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.

წალკის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.
ხონის მუნიციპალიტეტი	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობა.

დანართი №2

ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ გამოყენებული ავტომანქანების რაოდენობების შესახებ

მუნიციპალიტეტების დასახელება	რეკომენდებული ოდენობა (გარდა განპიროვნებულისა)	განპიროვნებული ავტომანქანები	გამოყენებული ავტომანქანები (გარდა განპიროვნებულისა)	სულ	მათ შორის, მოხელეების საკუთრებაში
აბაშის მუნიციპალიტეტი	6	15	27	42	36
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	6	5	30	35	27
ასპინძის მუნიციპალიტეტი	5	5	4	9	0
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	6	2	67	69	63
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	7	2	43	45	38
კასპის მუნიციპალიტეტი	7	2	4	6	0
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	6	3	27	30	22
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	7	2	49	51	44
მესტიის მუნიციპალიტეტი	6	5	44	49	42
მცხეთის მუნიციპალიტეტი	7	6	98	104	83
ონის მუნიციპალიტეტი	5	5	21	26	19
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	6	5	73	78	71
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6	2	6	8	0
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	6	14	37	51	43
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	6	2	33	35	31
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	6	2	102	104	92
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	6	2	87	89	80
ცაგერის მუნიციპალიტეტი	5	8	5	13	9
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	7	12	28	40	37
წალკის მუნიციპალიტეტი	6	8	14	22	6
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	7	2	3	5	0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	7	4	4	8	0
ხონის მუნიციპალიტეტი	6	2	15	17	12

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38